ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

პიროვნული ლოკალიზაცია და გავრცობა
(პროფესია. რომელსაც თვითშეცნობა და თვითრეფლექსია სჭირდება)

ხათუნა ლომაძე
ხელოვნების მასწავლებელი

ანოტაცია

გზა, რომელიც სუბიექტმა უნდა გაიაროს, სანამ ის პედაგოგი გახდება, წარმოადგენს საფეხურებს, სადაც სუბიექტი ვალდებულია გაიაზროს ყველა ის აღქმის ორგანოების როლი საგაკვეთილო პროცესში, გაანალიზოს სხეულის როლი სივრცეში, მოახდინოს „დრო“-ზე დაკვირვება და მისი მართვა, შესძლოს სულიერი და გონებრივი მდგომარეობის ბალანსი, ისწავლოს აღქმა, დაკვირვება, გააზრება, გამოსახვა და აბსტრაჰირება. ყოველივე მნიშვნელოვანია თავად პედაგოგისთვის, რომ მან შესძლოს მისი მოღვაწეობის პერიოდში, მოზარდებშიც ამავე უნარების განვითარება.

საფეხურს, რომელზეც პედაგოგი თავის საწყის ეტაპზე იმყოფება, შეიძლება დაერქვას „თვითშეცნობის პროცესი“. ეს პროცესი არ იქნება საფეხურის გავლის დროს პედაგოგისთვის პირველი და უკანასკნელი. ეს პროცესი კიდევ ერთხელ გამეორდება პედაგოგის მოღვაწეობის დროს, როდესაც იგი დაგეგმილ მიზანს მიაღწევს, კერძოდ, როდესაც იგი, ერთ სივრცეში მოზარდებთან ერთად, საგაკვეთილო პროცესის პირველ შედეგს მიიღებს.

საკვანძო სიტყვები: *ლოკალიზაცია, თვითშეცნობა, თვითრეფლექსია*

ლოკალიზაციაში იგულისხმება თვითშეცნობა, თვითრეფლექსია. გავრცობაში კი სუბიექტის ობიექტთან ინტერაქტიული ურთიერთობა.

პედაგოგი არის სუბიექტი, რომელიც ვალდებულია, სანამ მოზარდებს, ობიექტებს მიმართავს, საკუთარი თავი შეიცნოს,რაც უფრო გაუადვილებს მას და ასევე, მოზარდებს ერთ სივრცეში ყოფნას. იმ სივრცეში, სადაც ხდება ცოდნის, აღზრდის და ჩამოყალიბების პროცესი.

როდესაც სუბიექტი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და თვლის, რომ მას შეუძლია მაშინვე იმოღვაწეოს როგორც პედაგოგმა, არის მცდარი, რადგან მას არ აქვს თვითშეცნობისთვის საკმარისი დრო.

გზა, რომელიც სუბიექტმა უნდა გაიაროს, სანამ ის პედაგოგი გახდება, წარმოადგენს საფეხურებს, სადაც სუბიექტი ვალდებულია გაიაზროს ყველა ის აღქმის ორგანოების როლი საგაკვეთილო პროცესში, გაანალიზოს სხეულის როლი სივრცეში, მოახდინოს „დრო“-ზე დაკვირვება და მისი მართვა, შესძლოს სულიერი და გონებრივი მდგომარეობის ბალანსი, ისწავლოს აღქმა, დაკვირვება, გააზრება, გამოსახვა და აბსტრაჰირება. ყოველივე მნიშვნელოვანია თავად პედაგოგისთვის, რომ მან შესძლოს მისი მოღვაწეობის პერიოდში, მოზარდებშიც ამავე უნარების განვითარება.

ISSN 1512-1801

საფეხურს, რომელზეც პედაგოგი თავის საწყის ეტაპზე იმყოფება, შეიძლება დაერქვას „თვითშეცნობის პროცესი". ეს პროცესი არ იქნება საფეხურის გავლის დროს პედაგოგისთვის პირველი და უკანასკნელი. ეს პროცესი კიდევ ერთხელ გამეორდება პედაგოგის მოღვაწეობის დროს, როდესაც იგი დაგეგმილ მიზანს მიაღწევს, კერძოდ, როდესაც იგი, ერთ სივრცეში მოზარდებთან ერთად, საგაკვეთილო პროცესის პირველ შედეგს მიიღებს.

დავუბრუნდეთ საწყის საფეხურს. საფეხური 'ნული". ამ საფეხურზე სუბიექტი იწყებს აზროვნებას და მკვიდრდება სივრცეში, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იზრდება. იგი სვამს კითხვებს, რატომ არის ან უნდა იყოს პედაგოგი, რა მიზანი ამოძრავებს მას.

თუ სუბიექტმა, მომავალმა პედაგოგმა, ვერ მოახერხა საკუთარ თავთან ურთიერთობა, თვითშეცნობა, საკუთარ „მე"-ს განვითარება, მაშინ მას გაუჭირდება პედაგოგობა და, უხეშად რომ ვთქვათ, მას არ შეუძლია ამ პროფესიის ათვისება.

საინტერესოა, რას აძლევს პედაგოგს თვითშეცნობა, მისი მოღვაწეობის რომელ ეტაპისთვის გამოავლენს მისი არსებობა თუ არარსებობა თავს.

განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც სუბიექტი მუშაობს საკუთარ თავზე, არა მარტო იმისთვის, რომ მისი პროფესიონალიზმი განავითაროს, არამედ იმისთვისაც, რომ საკუთარი პიროვნული მიდგომა მის მიერ არჩეულ საქმესთან არგუმენტირებული იყოს.

მაგალითად, ავიღოთ ერთი საგაკვეთილო პროცესი.

საკლასო ოთახში შესვლამდე პედაგოგი არის მზად იმას ნიშნავს, რომ მან იცის მისი ორმოცდახუთი წუთი როგორ მართოს. იგი ფლობს დროს, სივრცეს და საკუთარ თავს,(ამ უკანასკნელში იგულისხმება საგნობრივი პროფესიონალიზმი.)

სივრცეში შესვლისთანავე პედაგოგის მზერა მიმართულია არა იმ ადგილისკენ, სადაც იგი მიემართება, არამედ მოზარდებისკენ, რომელთა რაოდენობა აღემატება 30-ს. მოზარდთა მზერა არ არის კონცენტრირებული პედაგოგისკენ. ისინი ახლად შემოსულები ვიწრო დერეფნებიდან, სადაც მათი სრული განტვირთვა არ მომხდარა, უნდა მოემზადონ, ყოველ შემთხვევაში, უნდ შეეცადონ მოემზადონ ახალი საგნისთვის, ახალი პედაგოგისთვის.

დავუბრუნდეთ პედაგოგს, რომელსაც მოზარდთა ნაწილი სრულიად არ აღიქვამს. პედაგოგი შედის საკლასო ოთახში დადებითი ემოციების დემონსტრირებით. პედაგოგი არ ჩერდება მის მაგიდასთან, და არც ჯდება, იგი დგება მოზარდთა პირდაპირ და ელოდება მათ კონცენტრირებას. აქ უკვე სჩანს მისი ორგანიზებულობა და დროის მართვა. მოზარდების საკმაოდ დიდი რაოდენობა ექცევა პედაგოგის ყურადღების სფეროში, ისინი იწყებენ გაკვეთილისთვის მზადებას.

პედაგოგი იცვლის ადგილს და გადადის მოზარდთა „ზონა"- ში, კლასის შუაგულში და ამჯერად მისი მზერა მიმართულია დაფისკენ, იქ სადაც სიცარიელეა. ამ ქმედებით პედაგოგი ხდება ნაწილი იმ მსმენელისა, რომლებიც განსხვავებული ინტენსიობითა და სიმრავლით იღებს ცოდნას, შესაფერისი რეაქცია მოჰყვება ამ პროცესს შემდგომ გაკვეთილზე. აქედან გამომდინარე პედაგოგის აქტივობა დამოკიდებულია მოზარდთა აქტივობაზე.

ISSN 1512-1801

საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა არის მოზარდებისთვის საკუთარი ცოდნის დემონსტრირებისა და ამავდროულად ცოდნის მიღებისთვის მნიშვნელოვანი მომენტი. პედაგოგის და მოზარდის აქტივობისას ხდება მათი უნარების, დამოუკიდებელი აზროვნების, ლაკონური და არგუმენტირებული მეტყველებისა და აბსტრაჰირების განვითარება.

ის მოზარდებს, რომლებსაც გაუჭირდათ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, პედაგოგი გამიზნულად ხშირად უახლოვდებოდა და იქიდან აქტიურობს საგაკვეთილო პროცესში. პედაგოგი ამით დემონსტრირებას უკეთებს, რომ ისინიც არიან მნიშვნელოვანი ობიექტები და რომ მათაც შეუძლიათ ყველასთან ერთად ინდივიდუალურად იაზროვნონ.

პედაგოგისთვის საგაკვეთილო პროცესის დასრულება არის საწყისი შემდგომი გაკვეთილისა. აქ ისევ ახდენს იგი თვითრეფლექციას, თვითშეფასებას და ემზადება შემდგომი გაკვეთილისთვის.

მოზარდები პედაგოგისთვის არიან ობიქტები, რომლებსაც იგი აკვირდება, შეისწავლის, აანალიზებს და ჰქმნის აზრს მათ შესახებ.

ასევე მოზარდებისთვის ხდება პედაგოგი ობიექტი საგაკვეთილო პროცესის დროს, რომელსაც ისინი ასევე აკვირდებიან, შეისწავლიან და აანალიზებენ. ეს უკანასკნელი პროცესები მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ მოზარდს არ ჰქონდეს შიში და არ თვლიდეს თავს პედაგოგისგან დართგუნულად. პედაგოგს თავის მხრივ არ უნდა აშინებდეს მოზარდების აქტივობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს მოზარდის ფორმა, რომელიც თავისი ინდივიდუალური აზროვნებისა და უნარების გამოვლენას შეძლებს უნივერსიტეტის სივრცეში, იქ, სადაც ხდება მოზარდის ცოდნის „დახარისხება". საძირკველი იქმნება სკოლაში, სადაც წესით პედაგოგი, სკოლა და მოზარდი ერთ საერთო ორგანიზმს უნდა წარმოადგენდეს და უნდა იყოს მოზარდზე ორიენტირებული და შემდგომ მის შესაძლებლობებზე.

უნივერსიტეტი და სკოლა, ჩემი აზრით, მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან, მაგრამ სამწუხაროდ ამჟამად არსებობს დიდი ზღუდე მათ შორის, რომელიც აგებულია სკოლის არაორიენტირებული სწავლების მეთოდიკით და უნივერსიტეტის გაურკვევლობით. გაურკვევლობა გამოწვეულია მოზარდთა ცოდნის დონით. ყველასთვის იყო ცნობილი, რომ უნივერსიტეტის სტუდენტისადმი სამართლიანი მოთხოვნაა, მეტყველების და აზროვნების მეცნიერული ფორმაა. ასრულებს თუ არა ამ მოთხოვნას დღევანდელი სტუდენტი, რომელიც ცოტა ხნის წინ სკოლის კედლებში იღზრდებოდა, არის დაუსრულებელი პოლემიკის თემა.

საკლასო ოთახი, შესვენებიდან შემოსული ბავშვები, ზოგს არ დაუსრულებია თავიანთი ძნელად და მოკლე დროში მოპოვებული საკვები, მათი ემოციური ყვირილი, ერთმანეთთან ჭიდილი არ ირღვევა ზარის დარეკვის შედეგადაც კი. ისინი ნელი ნაბიჯით, ზოგიც სრულებით უმოქმედოდ დგანან ოთახის კართან ან მიემართებიან მერხებისკენ. მათ ჰქონდათ უკვე მეორე გაკვეთილი და ეხლა ეწყებათ მესამე გაკვეთილი. კარებში შემოსული პედაგოგი უმზერს მოზარდებს და ოდნავი ღიმილით აწყობს თავის ნივთებს მაგიდაზე.

ISSN 1512-1801

შემდეგ მშვიდად მიემართება დაფისკენ. იგი დგება და მშვიდი იერით შესცქერის ოთახის სივრცეში არეულად მოქმედ მოზარდებს. ზოგი ადგილს უბრუნდება, ზოგიც იწყებს უკვე მზადებას გაკვეთილისთვის, ზოგი კი თავიანთ ჩვეულ ფორმას მიმართავს და იპყრობენ ყურადღებას, ხმამაღალი მონოლოგითა და შეძახილებით. Pპედაგოგი დგას და ელის. Mმისმა ლოდინმა, გაწონასწორებულმა იერმა, მიიპყრო მოზარდთა ყურადღება. Uუკვე დგება პედაგოგის დრო, იგი იცვლის პოზიციას და გადადის მოზარდთა მხარეს, მოზარდებთან ახლოს საუბარს იწყებს გაკვეთილის მიმდინარეობაზე, იგი მიიწევს იმ მოზარდებისკენ საუბრით, რომლებსაც კონცენტრაციის უფრო ნაკლები უნარი გააჩნიათ და მიმართავს მათ ინდივიდუალურად. პედაგოგი არ სჯის მათ, იგი არ წყვეტს საუბარს დაწყებულ თემაზე, იგი მიდის თითოეულ მათგანთან და სხეულის ენით ატყობინებს მათ, რომ უნდა ეცადონ მოსმენას. ასეთ ქმედებას პედაგოგი ხშირად იმეორებს. გრძელდება გაკვეთილი, პედაგოგის დაგეგმილი გაკვეთილი დასრულებულია. Gგამოსვლის შემდგომ იგი აკეთებს ჩანაწერებს, თვითრეფლექციის სახით და ემზადება მომდევნო საგაკვეთილო პროცესისთვის. მისთვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, ვინ რა თქვა, როგორი იყო თავად მოზარდებს შორის ურთიერთობა, როგორი სიხშირით მიმდინარეობდა მათი აზროვნების პროცესის გააქტიურება, ჩართულობა, და რა სიახლე დარჩათ მოზარდებს გაკვეთილის შემდეგ. მინდა დავიჯერო, რომ ეს არის სახელმწიფო სკოლაში არსებული პედაგოგის სახე.

რამდენიმე დღის წინ მხვდება ჩემი ყოფილი მოსწავლე და საუბრის დროს კატეგორიული ხმით ამბობს, რომ იგი თავის შვილს სახელმწიფო სკოლაში არ შეიყვანს, კითხვაზე რატომ, იგი მპასუხობს, რომ კერძო სკოლებში უფრო ითხოვენ ცოდნას. Mმე ჩვენი დიალოგის გაგძელებაზე და ჩემ კომენტარზე არ დავწვრილმანდები, მე მხოლოდ გავაგრძელებ ფიქრს იმ პრობლემებზე, რომელიც სახელმწიფო სკოლებში შეიქმნა.

Eეს არ არის მოსწავლისაგან შექმნილი პრობლემა, ეს არის იმ სქემის პრობლემა, რომელიც საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს. Uუფრო სწორედ მოქმედების სქემის არ არსებობის პრობლემა. საჯარო სკოლებისთვის აუცილებელია არსებობდეს ყოველ წლიური სამუშაო სქემა, რაც გულისხმობს: სკოლის საერთო მისაღწევ წლიურ მიზანს. რომელიც არ უნდა გამოისახებოდეს მხოლოდ ათოსნების, ოლიმპიადებში გამარჯვებულთა და სერთიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობით. სკოლა მიზნად უნდა ისახავდეს ყველა პედაგოგების ჩართვას, კათედრების მობილიზირებას იმისთვის რომ, ყველა კლასში პედაგოგს ჰქონდეს ერთი მიზანი, გააქტიურონ მოზარდის ინდივიდუალური აზროვნება, მიიღონ ყველა სუბიექტი ისე როგორებიც ისინი არიან და მათი პერსპექტივიდან დაინახონ ის პრობლემა, რომელიც მათ აქვთ, ასევე საგაკვეთილო პროცესი იყოს ისე დაგეგმილი, რომ განვითარდეს ხედვის, აღქმის, გაანალიზების, აბსტრაჰირების და შეცნობის პროცესი. Yსკოლა უნდა ექვემდებარებოდეს სამკუთხედის პრინციპს: მშობელი, ფსიქოლოგი, პედაგოგი. ისინი უნდა იყვნენ მუდამ თვითშეცნობის პროცესში. Uუნდა ხდებოდეს ხშირად გაკვეთილების ინტეგრირება.

სამწუხაროდ სკოლის სურათი გვიჩვენებს ორი სახის უკიდურესი პედაგოგების არსებობას, ერთი, რომელიც ემყარება varskvlav mozardebis varskvlav პედაგოგის ჰარმონიულ

ISSN 1512-1801

ურთიერთობას, სადაც პედაგოგი საკუთარი კერძო მოსწავლეებისთვის გამზადებულ ტესტებს აწერინებს და ყველა gasusulebi იწერენ, და მეორე, სადაც ყველა მოზარდი და პედაგოგიც ერთნაირი ხმის ტემბრით საუბრობს. რა თქმა უნდა,Aამ მდგომარეობაში მყოფი მოზარდები სრულებით არაადეკვატურები იქნებიან იმ პედაგოგთან, რომელიც მათ ინდივიდუალურ აზროვნებას მოითხოვს, რადგან ერთი გაკვეთილი მათ ვარსკვლავ პედაგოგთან ჰქონდათ და მეორე კი, მეორე უკიდურესობაში მყოფ პედაგოგთან. ერთი სიტყვით ყველა პედაგოგი ხსნის არა მხოლოდ სხვადასხვა საგანს, არამედ ისინი ამას სხვადასხვანაირი, (არ ვიტყვი მეთოდით, რადგან ზემოთ აღნიშნული მეთოდი არ არის) გზით ახორციელებენ. ამით მოზარდებს უწევთ მოკლე დროში, ვგულისხმობ შესვენებას, რობოტებივით შეეგუონ სხვადასხვა პედაგოგის და არა სკოლის მეთოდიკას. Mმოზარდის ფსიქიკა ვერ უძლებს ამ მე როგორც მინდა პრინციპს. სკოლა უნდა იყოს კერა, სადაც მოზარდი მხოლოდ საკუთარი ინდივიდუალური აზროვნების ჩამოსაყალიბებლად და გამოსახატავად წავა, განსაკუთრებით ეხლა, როცა საზოგადოება ასეთ ემოციურ სტრესს განიცდის, სადაც კომპუტერების და მობილურების დანიშნულების გარეშე მასიური გამოყენება თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდებზე.

ვიფიქროთ კონკრეტულად ფორმაზე, შინაარსზე და შედეგზე. ასე მივაღწევთ, ჩემი აზრით, სკოლის სრულყოფილ სახემდე, სადაც მოზარდი დაცულად იგრძნობს თავს და არა შიშით, არამედ ხალისით დაიწყებს აზროვნების სწავლას.